4
963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8 თბილისი აპრილი 1963

ლიტერატურული საქართველო

გამოცემის 39-40 წელი, ფასი 20 კაპ.

პირველ მაისს მეგობებით
ფართოდ ღია კარ-ფანჯრებით,
ველ-მინდვრებზე და ქარხნებში
ახალ-ახალ გამარჯვებით.
მთელ მსოფლიოს ესმის ჩვენი
ხმა სიმღერის, ხმა გუგუნის,
მოგილოცავთ, ზეიმია
კომუნიზმის საუკუნის!

ნახ. ჯ. ლოლუახი

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი



სახელოვან იუბილარს

მარგალიტების მფრქვეველო,
თმადათოვლილო თოლიავ,
ეგ გული პატიოსანი
რამდენჯერ ანათრთოლია.
არ ავიწყდება თაობებს
ტანმორჩილ ქალის მიმოხრა,
ოჯახშიაც და სცენაზეც
მართლაც რომ წმინდა ნინო ხარ!

ემ. აფხაიძე



დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნიანგმა კვლავ მოაწყო კითხვა-პასუხის საღამო. როდესაც დარბაზი დამსწრეებით, ცნობისმოყვარეებითა და სეირისმაყურებლებით გაივსო, ნიანგმა საღამო გახსნილად გამოაცხადა. პირველი კითხვით მას მცხეთის სადგურის მორიგემ ნანიტაშვილმა მიმართა:

კითხვა. თქვენ, ალბათ მოგეხსენებათ, რომ უძველეს ქალაქს მცხეთას რკინიგზის კარგი სადგური აქვს, მაგრამ ცუდი ის არის, რომ აქ არც ერთი მოსამსახურე არ ცხოვრობს. 1962 წლისათვის გამოყოფილი იყო თანხა 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, მაგრამ, რაღაც მოხდა, და ეს თანხა სადღაც დაიკარგა. იქნება 1963 წლისათვის მაინც გახდეს შესაძლებელი მშენებლობის დაწყება?

პასუხი. თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა ამჟამად შეუძლებელია, რადგან დასადგენია, თუ, რაღაც რომ მოხდა, რა მოხდა და, სადღაც რომ დაიკარგა ეს თანხა, სახელდობრ სად დაიკარგა. როდესაც ამას ზუსტად დავადგენთ პასუხსაც მაშინ გაგცემთ. ნანიტაშვილი დარბაზს ტოვებს და შემდეგი კითხვით ნიანგს ქუთაისის ტროლეიბუსის მგზავრები მიმართავენ:

კითხვა. ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველოს, ალბათ, ბევრი წვალება დასჭირდა, რათა ქუთაისში ტროლეიბუსების მეხუთე ხაზი გაეხსნა. ამ ამბავს ქუთაისის ხუთი ქუჩის მცხოვრებლები (კიროვის, ძერჟინსკის, მერკვილაძის, აბაშიძის და პლეხანოვის) ისე მოელოდნენ, როგორც მათი ბავშვების მიერ სკოლაში მიღებულ ხუთიანებს. ყოველივე ეს მხედველობაში მიიღო ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველომ და № 5 ხაზზე ხუთი ტროლეიბუსი გამოყო, თითოეული მათგანი ხუთგვარად ტექნიკურად გაუმართავი. ამის შემდეგ დაიწყო მგზავრთა ხუთმაგი გადაყვანა (ე. ი. თითო ადგილზე ხუთი მგზავრი) და 4-კაპიკიან ბილეთში ხუთი კაპიკის გადახდევინება. ყოველივე ამის მოთმენა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ დილით გამოსული ხუთი ტროლეიბუსიდან საღამომდე მხოლოდ ერთიღა რჩება, რაც მეტად ძნელი ასატანია. რას გვირჩევ, ჩვენო ნიანგო?

პასუხი. პირადად თქვენ ვერაფერს ვერ გირჩევთ, ხოლო ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველოს ვურჩევ № 5 ხაზზე 25 ტროლეიბუსი გამოუშვას, რათა საღამომდე ხუთი ტროლეიბუსი მაინც დარჩეს.

შემდეგი კითხვით ნიანგს სიღნაღის რაიონის სოფელ გამარჯვების მცხოვრებლებმა მიმართეს.

კითხვა. ლამაზი და კეთილმოწყობილია ჩვენი სოფელი, სოფელში კოხტად ჩამწკრივებულან ელექტროგაყვანილობის ბოძები წარწერით „სასიკვდილოა!“ წარწერის შიშით ბოძებს ახლოს ვერავინ ეკარება. ისე კი, კაცმა რომ თქვას წარწერა ტყვილად გაუკეთეს ბოძებს, დენი არ არის და რაა საშიში. დენი ყოფილიყო, იმას მოვუვლიდით. სინათლე გვექნებოდა და ჩვენი ტელევიზორები და რადიოებიც ამუშავდებოდნენ. როგორ მოვიქცეთ, ძმაო ნიანგო?

პასუხი. რა უნდა გიპასუხოთ, როგორც ჩანს, გურჯაანის სოფელექტრო დენს იმიტომ არ რთავს, რომ ეშინია, რომელიმე თქვენგანი არ დაშავდეს, თუ დაარწმუნებთ მათ, რომ ბოძებს ახლოს არ გაეკარებით, ალბათ, დენსაც გაუშვებენ.

გამარჯვების მცხოვრებლები მადლობას უხდიან ნიანგს და დაიმედებულნი ტოვებენ დარბაზს, რის შემდეგაც ნიანგს მორიგი კითხვით თბილისში, ბათუმის ქ. № 16-ში მცხოვრები გ. ბარამიძე მიმართავს.

კითხვა. 1961 წლის სექტემბერში თბილგაზმშენმა დაიწყო ბუნებრივი გაზის გაყვანა ჩვენს ეზოში. დაანგრიეს კედლები, გაიყვანეს გაზის მილები და შემდეგ ერთბაშად მიატოვეს. ჩვენთვის გაურკვეველია რა მოხდა, ან რატომ დაიწყეს მშენებლობა, ან რატომ მიატოვეს?

პასუხი. ჩემთვისაც გაურკვეველია და ამიტომ ამ კითხვით თბილგაზმშენს მივმართოთ, საინტერესოა, რას გვეტყვის.

ახლა ნიანგს ტყიბულელი გ. გეწაძე ეკითხება:

კითხვა. ტყიბულის კავშირგაბმულობის კანტორის სატელეფონო სადგურში, სადაც მარო ბოჭორიშვილი და შურა დვალი მუშაობენ, ხშირად იყრიან თავს როგორც კავშირგაბმულობის მუშაკები, ისე გარეშე პირებიც, რის გამოც კლიენტებს იმდენად ცუდად უწევენ მომსახურებას, რომ რომელიმე სოფელთან, თუნდაც ორპირთან დაკავშირებას ორი საათი მაინც უნდება, რა ეშველება ამ საქმეს?

პასუხი. შურა და მარო გადაიყვანონ იქიდან, რახან ზედმეტი ნაცნობ-მეგობრები დაუგროვდათ და ვინმე სხვები მოიყვანონ, ვიდრე ეს ახალი მუშაკები ნაცნობ-მეგობრებს შემოიკრებენ, ტელეფონი საათივით იმუშავებს, მერე ისინიც გადაიყვანონ და ა. შ., ა. შ...



ლოყრაკლ ლიმონაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარდო და სამაისო ქუთაისში დანავარდობს ჭუკა ჭოლაძე, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად. ამ უსაქმურ რაინდს ქალაქში შესანიშნავი საკუთარი სახლი აქვს და მამიკოს მიერ ნაჩუქარი „ვოლგით“ დაჰქრის ქუჩებში.

ჭუკას მამა რაჟდენი გაქნილი კაცია, ფულს ჩეჩქივით შოულობს. ამბობენ, ბნელი გზით შოულობსო, მაგრამ ეს გზა, როგორც ჩანს, იმდენად ბნელია, რომ ჯერ ვერ ვერ აღმოაჩინეს და ვერ შესძლეს დღის სინათლეზე გამოეყვანათ წამგლეჯი და კომბინატორი. ამას წინათ პასუხისგებაშიც იყო მიცემული რაჟდენი, მაგრამ ისე ოსტატურად დაიძვრინა თავი, რომ ცირკის ჯამბაზებსაც კი შეშურდებოდათ მის მიერ შესრულებული ნომრები.

კომბინატორ მამის ფულებით გალაღებულ ჭუკას თავი სულაც არ მიაჩნია ჭუკად და ქუთაისელი ბაჟკაცი „ვოლგით“ დაჰქრის რიონის ხეობაში, თან არხეინად ღიღინებს:

„სადაც კარგი გოგო ვნახე,
ყველა ჩემი მეგონაო...“

უყვარს ქეიფი და ჭუკჭუკი ჭუკა ჭოლაძეს, მაგრამ ერთთან კი არა, ქუთაისელ დონ-ჟუანს მეტად ფართო გული აქვს და ბევრი ქალიშვილის სიყვარულს იტევს.

ბოროტი ენები ამბობენ — ეს უქნარა, რომელიც არსად არ მუშაობს და დროს ქეიფში ატარებს, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი არისო. აქამდე არსებული წესის მიხედვით, დაუსწრებელ განყოფილებაზე იმ ახალგაზრდებს ღებულობენ, რომლებიც მუშაობენ. ჭუკა ჭოლაძეს კი არსად არ უმუშავია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამუდმებულ ქეიფსა და კამპანიებში თამადობის უწყვეტ სტაჟს. იმასაც ამბობენ, ჭუკას სტუდენტის ტიტული მოდისთვის სჭირდებაო, თორემ წიგნებთან ისეა შემწყრალი, რომ არავითარი იმედი არ არსებობს რომ ოდესმე შეურიგდესო. რას ვერჩით, მართალი უთქვამთ. აკი 9 აპრილს ჭუკა უკვე გარიცხეს ინსტიტუტიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

ვინ მოსთვლის რამდენი ამბავი გადახდენია თავს ქუთაისელ უსაქმურს. ზოგს სიამოვნებით იგონებს ჭუკა, ზოგი კი თვითონაც უნდა დაივიწყოს და სხვებსაც დაავიწყოს, მაგრამ არ ავიწყდებათ, უფრო სწორად არ ივიწყებენ. მოვიგონოთ ერთი მათგანი. 1962 წლის 7 ივლისია. ქუთაისში სოხუმის ქუჩაზე თბილისის მეოთხე პოლიგრაფიული ტექნიკური სასწავლებლიდან მეხუთე სტამბაში პრაქტიკაზე ჩამოსული ორი ქალიშვილი დგას. ამ დროს ქუჩას თავაწყვეტილი „ვოლგით“ ჩამოუქროლებს ჭუკა ჭოლაძე და მანქანას მათ წინ აჩერებს. ერთ მათგანს, ე. ც-შვილს, როგორც ჩანს, უკვე გასცნობია ქუთაისელი დონ-ჟუანი, და მანქანაში ეპატიჟება; მეორე, ლ. დ-შვილი, სასტიკ უარზეა, მაგრამ მუქარით, დაშინებით, დაპირებით და ტკბილი სიტყვით ორივეს აჯენენ მანქანაში. „ვოლგა“ დაიძრა და იქვე, ოცი მეტრის დაშორებით, „შემთხვევით“ აღმოჩნდა რაულ მიქაბერიძე, პირველი ქალიშვილის კავალერი და ჭუკას საჭურველმზიდველი.

მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქრის ზესტაფონის მიმართულებით და ჭიშურაში სასადილოსთან ჩერდება. ჭუკა წინასწარ მიდის მყუდრო ადგილის მოსაძებნად. მეგუფეტე არსენიძე, ნაცნობ ძმა-კაცებს რომ გახურებული გული გაუგრილოს, სადღაც გადაკარგულში, მაცივრისათვის განკუთვნილ პატარა ოთახში უშლის პურ-მარილს სარფიან მუშტრებს.

ვეება მაცივარი გრუხუნებს, ჭუკა და რაული ჭუკჭუკობენ, ჭიქას ჭიქაზე სცლიან, გოგონებსაც აძალებენ, ფანჯრიდან რევოლვერს ისვრიან, შემდეგ ზესტაფონში ჩაიქროლებენ და მალე უკანვე ბრუნდებიან. ღამის თორმეტ საათზე უკვე ქუთაისში არიან. სადღაც მივარდნილ ბინაში დარჩნენ რაული და მისი სიმპათია, ხოლო ჭუკამ აჯამეთის ტყეში გაიტაცა ლ. დ-შვილი თავისი მხეცური ჟინის მოსაკლავად. ვერ გასჭრა ცემამ, მუქარამ, ტანსაცმელშემოხეული, დალილავებული გოგონა მანქანაში შეაგდო ჭუკამ და კვლავ რაულს ესტუმრა. აქ ცემის შედეგად გონება დაკარგა გოგონამ და მხეცმა მხეცური ჟინი მოიკლა.

გათუნდა წამებით გატარებული ღამე. ფეხქვეშ გათელილ, ნაცემ, შეურაცხყოფილ გოგონას უნდა სათანადო ორგანიზაციებს აცნობოს მომხდარი ამბავი, მაგრამ არ სძინავს ჭუკა ჭოლაძეს. მან კარგად იცის, რომ სასჯელი არ ასცდება, თუ თავს არ უშველა და ყველაფერს აკეთებს დანაშაულის კვალის დასაფარავად. აბა რისთვის ჰყავს ძმა-ბიჭები, თანამესუფრეები!

ერთადერთი გამოსავალი ის იყო, რომ დაეყოლიებინა თავისი მსხვერპლი და მმაჩის ბიუროში ქორწინების რეგისტრაციაში გატარებულიყო მასთან. შემდეგ კი ჭუკას ხახვსაც ვერავინ დააჭრიდა ყურებზე. სწორედ მაშინ, როცა საქმემ მეტად საშიში ხასიათი მიიღო, ძმა-ბიჭების დახმარებით, ათასგვარი ხრიკებით ჭუკამ შესძლო დაეთანხმებინა მის მიერ შეურაცხყოფილი, ფეხქვეშ გათელილი გოგონა. და, ალბათ, „ქორწინებისათვის“ რომ უფრო რომანტიული ელფერი მიეცა, სოფელ ქვიტირის სასოფლო საბჭოს ესტუმრა ქორწინების რეგისტრაციისათვის. არსებული წესის მიხედვით, ქორწინების რეგისტრაცია წინასწარ შეტანილი განცხადების შემდეგ ხდება, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ქვიტირის სასოფლო საბჭოს მუშაკებისათვის რეგისტრაციაში გაეტარებინა ისინი. არც იმას შეუშლია ხელი, რომ „დედოფალს“ პასპორტი „არ აღმოაჩნდა“ ხელზე. ალბათ ისიც „გამორჩათ“ მხედველობიდან, რომ ჭუკა ჭოლაძემ ქ. ქუთაისის № 13 უბნის სამეურნეო სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე ჩოგოვაძის მიერ ხელმოწერილი ცნობა წარმოადგინა საბჭოში, მაშინ როცა „ნეფე“ სულ სხვა უბანში ცხოვრობს.

არავინ დაინტერესებულა გაერკვიათ, თუ № 13 სამეურნეო სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარემ, სოფელ ქვიტირის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ა. ჩოგოვაძემ რატომ უღალატა მათემატიკურ სიზუსტეს, ხელი შეუწყო და ყალბი საბუთი მოსცა პირწავარდნილ ხულიგანს. იქნებ ისიც ეკითხათ, ქენჯნიდათ თუ არა სინდისი „ქორწინების“ მოწმეებს გურამ სულაკაძეს და თინა ჯიქიას. ისინი ხომ საკუთარი თვალით დარწმუნდნენ, რომ „ნეფეს“ ტანსაცმელი არავისთვის შემოუხევია, ქორწილში წამობრძანდითო. ქორწილზე არც არავინ ფიქრობდა. ჭუკამ რეგისტრაციაში გატარებისთანავე მიატოვა „დედოფალი“ მისი თანმხლები პირებით და „ვოლგით“ მოუსვა ქუთაისისაკენ.

ამის შემდეგ ფეხქვეშგათელილი და შეურაცხყოფილი, მოტყუებული და გაცრუებული გოგონა ეძებს სამართალს, მოითხოვს დაწნაშავის დასჯას, განცხადებას განცხადებაზე წერს, აწუხებს ცას და ქვეყანას. ყველა თანაუგრძნობს მას, ყველა აღშფოთებულია მოძალადის მხეცური საქციელით, ყველა ხედავს რომ დათვი მათ წინ არის, ისინი კი ამაოდ ეძებენ კვალს. მტკიცედ იცავენ რაღაც და რაღაცის მიზეზით გაურკვეველ ფორმალურ მხარეს.

სანამდე საქმის გამოძიება ქუთაისის ქალაქის მილიციის ხელში იყო, წესიერად სწარმოებდა, მაგრამ მერე ყველაფერი აირია.

ჭუკა ჭოლაძე კვლავ არხეინად დასეირნობს „ვოლგით“, ეძებს ახალ მსხვერპლს. მას შეუძლია ახლა სხვა სოფელს ესტუმროს და იქ გატარდეს ქორწინების რეგისტრაციაში. კომბინატორი მამა ჯანმრთელად ჰყავდეს და ფული და მზრუნველობა არ მოაკლდება , მანქანა და სეირნობა. ჭუკა უკვე ჭუკი არ არის, რომ რაიმე შეეშალოს, იცის, როგორ დაიძვრინოს თავი. მუშაობით არსად მუშაობს, თორემ ასეთი გამოცდილება არ აკლია.

ლოგიკურია ასეთი კითხვა: საერთოდ ფიქრობენ თუ არა ის ადამიანები თავიანთ ოჯახზე, თავიანთ შვილებზე, მათს მომავალზე, რომლებიც ჭუკა ჭოლაძესა და მის მსგავს გარეწრებს ხელს უწყობენ, რომ თავიდან აიცილონ საბჭოთა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ნ. ზველიძე
ზ. ჟარჩავა

ნახ. ვ. ბუმბურიძისა

— აბა, რას გვეტყვით ბლოკის შესახებ?

— ბლოკს დიდი გამოყენება აქვს, ბატონო, მშენებლობაში, ჩვენი სახლი მთლიანად ბლოკებითაა აშენებული!

— ჩამოაგდე ეგ გუგული, თავზე რომ დაგვაძახის კაფეთესელო!

— მაგას კი ჩამოვაგდებ, მაგრამ სამმართველოს ბრძანებას რა ეუფოთ?

ნაგვის დანაკი

ჩემი ცოლი ისეთი კოხტა და კოსმეტიკა, რომ მეზობელ დედაბერთან ქნინის სათხოვნელად რომ უნდოდეს გასვლა, ერთი საათი ტრიალეს სარკის წინ, თმებს ეფლეთოდგინენ აიჩეჩავს, პომადას წასვამს, ცოდინან ტუფლებზე შედგება და ისე გავა, არადა ფეხს ვერ მოაცდევინებენ ადგილდგმ.

ეს ყოველთვის დიდ სიხარულს მგვრიდა, ვერ ეიტანა ჩამორჩენელ ქალებს, მაგრამ ცოლის კოფეიობამამ მაშინ ამაკანონა, როცა ფიგა ფშვიტლას პროსპექტზე მომეცა ბინა.

ანაგვე ყოფნაში ნაგვის ჩაყრა ბუნების ანენსო, გამოფეიფცადეს, ამიტომაც ანაგვე ყოფნის არ დაგიდგამთ, დიდის რვის ნახეკარზე ჩამოტანილი, ნაგვის მანქანა გამოიცალა და წაიიეტანა.

და აი ჩამოიარა მანქანამ, აბალდა რეცეა, ბრახხბარეები, ჩემი ცოლი წამოიხტა, მაგრამ ბუნებრივად თმაკაბენილი ხომ ეფი წვიდოდა და ბუფეკა თმის ეანეტესა ხელოვნურად. სანამ თმა ეანიტესა, ჩაიცვა, ტუფლებზე შედგა და ნაგავი ჩაიტანა, გაუმა მანქანა... ისევ ამოიტანა ჩემმა ცოლმა ნაგავი ეკან და მაა მერე ნაგვის ჩატანა მე დამეკისრა.

ვიყოფე მაღვიძარა საათი, რვის ნახევარზე ცალკე ეფიძარა მაღვიძეს, ცალკე ჩემი ცოლი და ცალკე სანაგვე მანქანის მძღოლის ზარი. ჩაიარბენინებ ნაგავს და, თუ მანქანა იქეე დამხვდა, ხომ კარგი, არა და სხვებთან ერთად მიერბიგარო სხვა კვარტალში მე და ჩემი ნაგავი, ხანდახან დაფეკეს ვეღარ ვახერხეს, ეკანე ეგარაფერები გეფლდაფეკეთლი და სანდონეე მიბეფეს ცოლის ბუტდღი და ეფეფეს-კრეფეს.

ხანდახან, როგორც ეოველი ნორმალური მამაკაცი, მეც ვიოფერები და, დილით, რიცა ეკრეე მაღვიძარა მაღვიძეს და ვიეე ეანანის ზარი, მაშინ უნდა ნახოთ რა ოურაურეს აგეტს ჩემი ცოლი. რა ენას, ცოლს ეკრეე ბუნებრეეეს, ეკანა ძალიან ეთხოფეთ, ვინაც ჩემთვის ეკეეი შეეტაკეთო, როგორიც გამაკეეინეთ, ამდენი უეეეფერეს დასეეეს ბუზების დასეეეა არა ეკობა?

ზოგი ხანაკეე მანქანაზე რომ ვერ მიესწერეს, ნაგავეი ეზოს შეაეეფდნენ დაყრის, ეარი ეკანაეეეს ნაგავეს, აკეეს ზეეეთ, ფასტაკეს, მოელს ეეკოთი მეფდეეს ანგარიანტაკრა. სანაგვე ყოფნის ეეეონლობამ აი ასე არია ჩვენი ცხოვრება.

ან რა იქნებოდა სანაგვე ყოფნი დაედგათ ისეე და ყოველდღე ვიეეწმენთო, მაშინ ხომ არც ბუზეეი ეკეფდებოდა და არც ჩვენ ვიეწეფოდიდ ნაგეის დარეოჯი.

ეგეეფელება კი რამე?

ა. დადიანი

მინიატურები

თეორია და პრაქტიკა

ქმარმა, რომელიც წმინდა მეცნიერებაში მოღვაწეობდა, ერთხელ სადილზე განაცხადა:

— როგორაც იქნა, დავამთავრე ჩემი თეორიული ნაშრომი დანა-ჩანგლის ხმარების შესახებ.

— რა ბედნიერებაა! რა დიდი შენა-ძენია! — წამოძახა ცოლმა. — ოღონდ, ჩემო კარგო, ახლა მაინც დაიბარე დანა მარჯვენა ხელში, ჩანგალი — მარცხენაში.

ა. ბასილაია

ᲠᲝᲛᲢᲘᲙᲘ

— ნათქვამია „ცოლს დიდი ეთმინეთ“, ბარა არა თლათ მასე საქმე ცოლ-ქმარი, თუ ვანდეთ ხათრი და სიყვარული ალეთ, „ალბარა ეთმინ თლათ ფეკეფლ. რაფა ბორს ფეკეფდეთ, ბინძა, ეი, მე და ჩემი ეფლეკეა რომ ფეკეფდათ, სანი ფეფლეთი ალეთნა და ეერთი „ეკიფეკეეი“ ანეოს მეტი ფფრი ეკამანნეა. ბარა თიფი ბანნე ქეეეს: ეეფფფერეს ეარბინეოდეთ.

„ეეკეი რა ეარფეს ინფეფ,
თიფი ბოლეფფელი ბეეინნა“-ი.

მიაშეეეკ სასხინთ სასიმამროს „ეეკეეკ თავს“ ფოთას ალფრიზზი და ალფა ფეფშეეეკრა ეეკ თავი „ბაიარა ეეეეეში“. რა ალმა ეენეა, სასიმამროს ალფრა ეეამნინა ფოთაკეეი სასიძის ეეალეეეეი ხეეინ, მაგრამ არაფერი აგრაბრთანნა და სალეეეეგრილეეეი ეარ ალთ:

— როგორც ხეეალეეი, ეე ეა ბეეს ეეეკეამ სამეფოდ ეგარანნინ ოფალინ ეეეაბენეალბრანინეთ.

„ეკეეი, ალეეეა ნეე ეეეალ.
ნეერეკეი ბოალეკეეი ეეთია ბოფალეეი.
ეკეეკეეი ეალეეეეე

თბილისელ ანეგვიჭოვა

ცხოვრება შნოსა და მარიფათს მოითხოვს, შნო და მარიფათი კი მხოლოდ „რჩეულებს გააჩნიათ. ქვა რომ მისცეთ ხელში, წვენს გამოადენენ. მათი რიცხვი არცთუ ისე ბევრია, მაგრამ არცთუ ისე ცოტა, რომ ერთ ფელეტონში შეიძლებოდეს ყველას ჩამოთვლა. ჰოდა, ჯერჯერობით ამ რამდენიმე ეგზემპლარით დავკმაყოფილდეთ, რომლებიც ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მილიციის განყოფილების ბადეში ამას წინათ მოჰყვნენ:

ფალსიფიკატორები

ზოგჯერ მეგობარი გეპატიჟება: ღვინო დავლიოთო. შენ უარზე ხარ, ის არ გეშვება, შენ ქვას ააგდებ და თავს შეუშვერ (ცხადია, არა წვენის გამოსადენად), მაგრამ მეგობარს ისეთი საბუთი მოაქვს, რომ შენი უარი ერთის მოსმით ქარწყლდება, გეუბნება შინ დაწურულ ღვინოს დაგალევინებო. ახლა ქუდი რომ გარეთ გაგიგდოს წამსვლელი არა ხარ, გინდა ჩქარა ჩაიკოკლოზინო ყელი, მოილხინო. სხვამაც შეიძლება კარგი ღვინო დაწუროს, მაგრამ შენ აბა რა იცი, კარგი დაწურა თუ ცუდი, შენი თვალით რაც არ გინახავს, აბა როგორ ენდობი.

სწორედ ასეთი მზრუნველი კაცია თბილხლბოსტანვაჭრობის მაღაზია №5-ის № 3 ფილიალის გამგე შოთა დარახველიძე. ქარხნის მიერ გამოშვებული არყის მაღალხარისხიანობაში ეჭვი რომ ეპარებოდა, მუშტრები პატივისცემის გარეშე რომ არ დარჩენოდა ,თვითონვე იკისრა არყის („ნარინჯოვანის“) გამოხდა. მარტო იმ ერთ დღეს, მარცხენა ფეხით რომ ადგა, 156 ნახევარლიტრიანი ბოთლი აღმოაჩნდა თავისი ნაბელავი არყით გავსებული, კაცი ხალხისათვის ზრუნავდა და მაინც ბრალი დასდეს, ესაო და არაყი ფალსიფიცირებულიაო.

უფაქტურო საქონელს შტატიან გამყიდველს აბა როგორ გააყიდვინებდა, ამიტომაც დაავალა გამყიდველად გაუფორმებელ ლევან ადეიშვილს, მოგებაშიც, ცხადია, წილი დაუდო. ლევანმა საკუთარი ინიციატივაც გამოიჩინა, ასი გრამის ნაცვლად 60 გრამი არყით ისტუმრებდა მუშტრებს, ამით ორ კურდღელს იჭერდა ერთბაშად, გამგის გულსაც იგებდა და ფულსაც.

ნეკრასოვის ქუჩაზე მდებარე თბილკვებვაჭრობის № 18 მაღაზიის გამყიდველ მიხეილ ლონდრიძეს 12 ბოთლი არაყი „სტოლიჩნი“ აღმოჩნდა არაქარხნული წესით დამზადებული, ფალსიფიცირებული და, როცა კითხეს, საიდან მოგიტანიაო, ქორწილი უნდა გადამეხადა, ბატონო და ვიღაც ოჯახაშენებულისაგან ვიყიდეო. ხომ ნახეთ, რა კეთილი კაცია მიხეილი, საქორწილო პურ-მარილი მაღაზიაში გადმოზიდა, ჩვენს მუშტრებს არ მოწყურდეთ და არ მოშივდეთო. აფერუმ, მიხეილ!

„მეგადურები“ და მათი ძმაკაცი გელახპერა

პურ-მარილი აბა რა პურ-მარილია, თუ ზედ თევზი არ იქნება, განსაკუთრებით, ცოცხალი, არაყს აბა ისე რა გემოს ჩაატან... და აი ივანე ნაგლიაშვილი (მცხ. ხეთაგუროვის ქ. № 97) და მისი ხელმოუწერელი ცოლი მარო ნავროზაშვილი (ხელმოწერილი ცოლი და ბავშვები ღვთის ანაბრად ყავს მიტოვებული) ქალაქის ცოცხალით მომარაგების მადლიან საქმეში თუ პირველები არ არიან, არც არავის ჩამოუვარდებიან არაფერში... ერთი კოლეგაც ჰყავთ, მათსავით მოხერხებული და გავლენიანი არმენაკ შახვერდოვი, ანუ მეტსახელად გელახპერა. დღედაღამის რომელ საათსაც გინდათ, მიაკითხეთ, ან ქმარი იქნება შინ, ან ცოლი, ან 16 წლის ვაჟიშვილი (ამასაც თავიდან დაჰყვა ვაჭრობის ნიჭი და პრაქტიკას მამასთან გადის), რა თევზი გინდათ, შამაია თუ თართი, ჭანარი თუ მურწა, გელახპერა და ვანო გენაცვალოთ, სტუმრებთან არ შეგარცხვენთ. რა გინდათ, ცოცხალი ხალხია და ცოცხლად ვაჭრობენ ცოცხალით... „ცოტა“ ძვირად კი ყიდიან, მაგრამ, ვისაც თევზი უნდა, ჯიბეც ხომ უნდა დაიცარიელოს. აბა, როგორ გინდათ, ბიძია!

მეწინდეები

საქვეყნოდ ცნობილია ლენინაკანის წინდები და საქვეყნოდ ცნობილია ანდაზაც: „სად ვესროლე და სად გასცდაო.“ ლენინაკანელი მუქთახორები აგანგაშდნენ: ვაითუ ჩვენს მომმე საქართველოში დროზე წინდები არ შეზიდონ, და თვითონვე გამოზიდეს ქარხნიდან ჯერ მოუმთავრებელი მამაკაცის წინდების რამდენიმე ათასი წყვილი და თბილმრეწვვაჭრობის შემსყიდველ-სარეალიზაციო და საცალო ვაჭრობის ბაზის ფარდულების გამყიდველებს ისმაილოვ მამედ-ალი-გასან ოღლის (ფარდული № 75), ენზარ კაკის-ძე შაგინიანს (ფარდული №66) ჩამოუზიდეს, ესაო და, ბოდიში მოგვითხოვია, ქარხანას დრო არა ჰქონდა, წინდების ქსოვა მოემთავრებინა, ჩვენ თქვენი მომარაგებაც გვეჩქარებოდა და, მიდით, თვითონ ამოკერეთ და თბილისელი მომხმარებლები დროზე დააკმაყოფილეთო. ამათაც არ დაიზარეს, ქარხნის პრესტიჟი დაიცვეს, გულდაგულ ამოკემსეს და, ჰაიდა, გაუშვეს სარეალიზაციოდ.

ასეთი საზოგადოებრივი სასარგებლო შრომით გადატვირთვის საქმეში ისმაილოვი და შაგინიანი არც პირველები ყოფილან და არც უკანასკნელები. აი მათი დაუღალავი კოლეგები: თენგიზ ელბაქიძე №83 ფარდულის გამყიდველი და თბილმრეწვვაჭრობა № 76 ფარდულის გამყიდველი გერცენ კეზერაშვილი.

მიდით და ახლა ნუ დაუფასებთ ღვაწლს ხალხის ამ ჭეშმარიტად „უანგარო“ მოამაგეთ!

მ. ლუკაძე
შ. ჩაჩიბაია

თინათინის ხაფანგი

— რა ჭირდება ადამიანს ყველაზე უფრო, — დაუსვა თინათინ მაჩაბელმა თავის თავს კითხვა და თვითონვე უპასუხა: — რა თქმა უნდა, ბინა, კეთილი და პატიოსანი, ჩვენც ბინიდან დავიწყოთ.

თინათინ მაჩაბელს არ ჰყოლია აგენტები, რათა გაევრცელებინათ ხმა, თითქოსდა იგი საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობას აყალიბებდეს, მან თვითონ გაავრცელა ხმა და საუკეთესო ხაფანგი დააგო, რომელზედაც მსხვერპლის მოსატყუებლად არარსებული ბინა იყო ჩამოკიდებული.

თინათინის ხაფანგს პირველად ინჟინერი ვ. გლურჯიძე მიუახლოვდა:

— ძალიან ხელსაყრელი პირობებით ვაყალიბებ ამხანაგობას, უზრუნველგყოფთ ყოველგვარი სათავსოებით, კომფორტით, მაღალი ჭერით, მხოლოდ არავითარი საქმე უფულოდ არ იწყება და ავანსად ათას ხუთასი მანეთია საჭირო.

ისე მოთაფლულად ელაპარაკა თინათინი ვ. გლურჯიძეს, ისე დაუხატა მომავალი ბინა, რომ ვ. გლურჯიძემ თინათინს ულაპარაკოდ ჩაუთვალა ათას ხუთასი მანეთი.

— თუ ვინმეს უნდოდეს შემოსვლა ამხანაგობაში, მე მომაკითხონ, მხოლოდ პატიოსანი ხალხი იყვნენ, ცოტა არ იყოს გაურბივარ თაღლით ხალხთან საქმის დაჭერას.

მალე თინათინის დაგებულ ხაფანგს ანა და ცაცა ბიჭიკაშვილებმაც მიაკითხეს.

— შემობრძანდით, დაბრძანდით, ბრძანეთ... ჰოო... ბინა? ცალ-ცალკე თუ ერთად... ბატონი ბრძანდებით... გვარი, სახელი.

თინათინმა გაშალა თავისი დავთარი, ჩაიწერა გვარი და სახელი და შემდეგ თითოეულს ათას ხუთასი მანეთი გამოართვა — ეს „ავანსია“ სახლის მშენებლობის დასრულებამდე მოითმინეთ, ვეცდები, მალე მოვახერხო ყველაფერი, თუმცა არც მეტისმეტი სიჩქარე ვარგა, ხომ იცით, მშენებლების ამბავი, მიფუჩეჩება უყვართ, მე კი თქვენთან და საკუთარ თავთანაც არ მინდა შევრცხვე.

ცოტა ხნის შემდეგ მაჩაბლის დაგებულმა ხაფანგმა თენგიზ ფუხაშვილიც მიიტყუა.

— ახალი ბინა კარგია, მაგრამ არც ახალი ავეჯია ურიგო, — რას იტყვით? და თინათინმა თავის ხაფანგზე დამატებით საზღვარგარეთული ავეჯი ჩამოკიდა.

— მაგას რა ჯობია, თუ რამეს გამიკეთებთ.

— იცოდეთ, უხელწერილოდ კაპიკსაც არ მოვკიდებ ხელს, რას მიქვია სიტყვიერი ნდობა!

— ბინას და ავეჯს რა დაჭირდება?

— ავანსად, სამი ათასი მანეთი.

კიდევ ითათბირეს ,ხელი ხელს დაკრეს და მორიგდნენ, თენგიზმა სამი ათასი ჩაუთვალა თინას და ორი ათასი მანეთის ხელწერილი გამოართვა.

თინათინ მაჩაბლის ხაფანგს თანდათან უმრავლდებოდა მსხვერპლი. დავთარი ივსებოდა გვარებითა და მიღებული თანხების რაოდენობით.

პენსიონერი ონიკ ნანინჯიანი აშკარად ვერ მალავდა ,თავის სიმპათიებს თინასადმი, — აი მესმის მანდილოსანი, როგორც საკუთარ მამას, ისე მეპყრობა, ჩემი გულისთვის კინაღამ იტირა, მოხუცი ხარ და კარგ ბინაში უნდა იცხოვროო.

ონიკ ნანინჯიანმა სამი ათასი მანეთი გადასცა „გულჩვილ ქველმოქმედს“.

გადიოდა დრო და მშენებლობა არსად ჩანდა, ბოლოს დაიწყეს თინათინის შეწუხება, ან ბინა, ან ფული. ერთხელაც მიაკითხეს მაჩაბლის ასულს და...

დადის თინათინი მოსკოვსა და სხვა ქალაქებში დადიან და ამაოდ ეძებენ თბილისში თინათინს ხაფანგში მოქცეული მსხვერპლნი.

რა იციან მათ ,რომ თინათინმა ხაფანგის დაგება დიდი ხნის წინათ დაიწყო, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი ოქტომბრის რაიონის სახ. სასამართლოში თარჯიმნად მსახურობდა. თინათინი ბევრს შეპირდა მაშინ განთავისუფლებას, ბინის დაბრუნებას, სამსახურში აღდგენას, რა თქმა უნდა, შეპირება არ იყო უსასყიდლო, მაგრამ გაუგეს თინათინს და 1955 წელს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. არც ის იციან ხაფანგში მოხვედრილებმა, რომ პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე თინათინი კვლავ შეუდგა ახალი ხაფანგის დაგებას, შეუდგა და დააგო კიდეც, დააგო და მოამწყვდია კიდეც მსხვერპლი, კიდევ გაუგეს თინათინს, 1959 წელს კიდევ მიუსაჯეს სამი წელი, გამოვიდა თინათინი პატიმრობიდან და ისევ გაბა თავის ხაფანგში მსხვერპლი.

ჩვეულებად ექცა თინათინ მაჩაბელს ხაფანგის დაგება და უფრთხილდით, ძალიან მაცდურია ხაფანგი იგი.

ე. ნიკოლოზიშვილი

ბარათები ნიანგს



— თქვენ ფერმაში რომელი ასაკის გოჭია უფრო გემრიელი?
— მაგ საკითხი უფრო კარგად თავმჯდომარემ და ზოოტექნიკოსმა იციან!

ძმაო ნიანგო!

კახელები ძალიან გახარებული ვართ იმის გამო, რომ კახეთის მიმართულებით მიმავალი ავტობუსების სადგური სანაპირო ქუჩიდან ნავთლუღში გადაიტანეს.

წარმოგიდგენიათ? ნახევარი გზა შეგვიმცირეს! ამაზე მეტი დახმარება გინდა კაცს...

ახლა კახელს რომ ჰკითხო, — სად მიეჩქარებიო? — კახეთში მივდივარ, რომ კახეთში წავიდეო! დიახ, ასეთი არაბუნებრივი გამოთქმებით შევივსო ჩვენი ლექსიკონი.

მართალია სანაპიროზე მდებარე ავტოსადგური ძლიერ გადატვირთული იყო, მაგრამ, ნუთუ არ შეიძლებოდა ისეთი ადგილის გამონახვა, რომ თბილისის არც ერთი რაიონის მცხოვრები არ ყოფილიყო უკმაყოფილო.

გარდა ამისა, ძმაო ნიანგო, ახალი ავტოსადგური მოთავსებულია ნავთლუღის რკინიგზის სადგურში და ისე არის არეული ერთმანეთში რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა კაბინეტები და სალაროები, რომ ძნელი გასარკვევია, რომელი რომელს ეკუთვნის.

ასე, მაგალითად, ავტობუსების სალაროსა და ცნობათა ბიუროს გვერდით მოთავსებულია კაბინეტი, რომელსაც გარედან ასეთი წარწერა აქვს „ვაგზლის უფროსი". მგზავრები ხშირად აკითხავენ ამ კაბინეტს და მხოლოდ შემდეგ გებულობენ, რომ აქ რკინიგზის ვაგზლის უფროსია.

გთხოვთ, ძმაო ნიანგო, გვიშუამდგომლოთ ვისთანაც ჯერ არს, რომ კახეთში მიმავალ ავტობუსებისათვის სათანადო სადგური გამონახონ!

გ. ზეინალაშვილი

ძვირფასო ნიანგო!

შენს ელამ თვალებს არაფერი გამოეპარებოდა და, ალბათ, კოჯრის ახალი გზატკეცილიც გეჭნება ნანახი.

იუმორისტის იშვიათი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული ის ადამიანი, ვინც ამ ადგილს ახალი უწოდა. ბევრმა ,ალბათ, არც კი იცის, რომ ძველი ალბომებისა და სურათების თვალიერების ნაცვლად საკუთარი თვალით, ნატურიდან შეუძლიათ დატკბენ მათთვის საამო სანახაობით. ამას დიდი დრო არ დაჭირდება. №6 ავტობუსი კოლმეურნეობის მოედნიდან სწრაფად აგაქროლებთ კომკავშირის ხეივნამდე. თუ კვირა დღით მოგიხდეთ მგზავრობა, ნუ შეეშინდებათ ავტობუსის კარებზე ჩამოკიდება, მაგიერში, ისე გაგიმაგრდებათ კუნთები, რომ ბევრ სპორტსმენს შეშურდება თქვენი წარმატება.

კომკავშირის ხეივნიდან „პატარაზე" ფეხით გაივლით და იმ წამსვე ჩვენს მიერ დასახელებულ კოჯრის ახალ გზატკეცილზე ამოჰყოფთ თავს. ოციოდ კომლი სახლობს ამ ქუჩაზე. თითოეულ სულ მოსახლეზე კი ორი ძაღლი და ამდენივე დეზებიანი მამლაყინწა მოდის. უნდა ნახოთ, რა ჰანგები იღვრება გარემოში განთიადისას, როცა ძაღლები ყეფას ასტეხენ და მამლებიც რიხიანად შემოსძახებენ დილის საარს.

დიდხანს გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა, ძვირფასო ნიანგო?

კ. ქადაგიძე

კეთილო ნიანგო!

მე იმ თბილისელთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც ბათუმის ქ. №29 სახლში აქვთ ბინა. ჩვენი სახლი არსებობის ათ წელზე მეტ ხანს ითვლის, და, ამ დროის განმავლობაში, ჩვენი ქუჩისათვის არ დაგვიკლია კეთილი ყურადღება. ახლა, ქუჩა ასფალტირებულია, არც სანაგვე ყუთებია შუა ტროტუარზე წამოჭიმული და არც... ერთი სიტყვით, ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი საყვარელი ქუჩისათვის, მაგრამ ,ერთი სიტყვით ყველაფრის გაკეთება შეუძლებელი ყოფილა.

ჩვენი სახლის მცხოვრებლებს შესძულდათ ქვანახშირი და ამის საფუძველიც აქვთ. საქმე ისაა, კეთილო ნიანგო, რომ ჩვენი სახლის წინ საავადმყოფო მდებარეობს, მას კი გასათბობად საწვავი ესაჭიროება. ასფალტი რომ დაგვიგეს, შვებით ამოვისუნთქეთ, მაგრამ ვაი ჩასუნთქვას... გაშრობა არ აცალეს და ზედ ქვანახშირის გროვა დააყარეს. შემდეგ დაფაცურდნენ, რკინის სათავსო მოიტანეს, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ვინ ყრის შიგ რამეს!.. ასე უფრო მოსახერხებელიაო, გადაწყვიტეს და... ყრია ნახშირი ზეცის ანაბარა. იქვე ცენტრალური გათბობიდან მილით წყალი ჩამოდის და ქვანახშირის გროვაზე იკვლევს გზას. ქიმიური ნახშირწყლებისა რა მოგახსენოთ და ეს „საუცხოო" ნახშირწყალი ჩვენს ქუჩას არ ელევა. წვიმის მოსვლის დროს ხომ ზედმეტია ლაპარაკი... მოკლედ ისე აუშნოებს ეს ნახშირი ქუჩას, რომ თქვენც გული დაგწყდებათ!

გ. სოხაძე

ამხანაგო ნიანგო!

მე ანაგელი გახლავარ და ძალიან მიხარია, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ჩვენი სოფლის სახელი ჰქვია. ამას წინათ, მე თვითონ ვიყავი ამ ქუჩაზე და მოხიბლული დავრჩი მისი სილამაზით. მხოლოდ ერთი რამ არ მომეწონა და გაკვირვებული დავრჩი.

სახლებზე ნომრები ყველგან თანამიმდევრულად არის გაკრული, მხოლოდ ერთგან, რატომღაც, დარღვეულია ეს წესი. ერთ-ერთი სახლის პირველ შესასვლელზე მიკრულია №24. იმავე სახლის მეორე შესასვლელზე №26. შემდეგ შესასვლელზე ნომრის გარეშე მარტო რიცხვები — 28 და 30 სწერია, ხოლო სახლის ბოლოში გაკრულია № 24-ა.

ამბობენ, ეს სახლი ამხანაგობამ ააშენაო. საკითხავია, ამხანაგო ნიანგო, თუ მშენებლობის დროს ამხანაგები იყვნენ, ახლა რატომ გაეღვიძათ კერძომესაკუთრული მიდრეკილება და სახლის ყოველ შესასვლელს ცალკე ნომერი მისცეს?!

ზ. მეზვრიშვილი

რედაქტორი ნ. შველიძე. 236 / 63 — სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. — საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги".
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 17/IV-1963 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები არ ბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 792. უე 03209 ტირაჟი 40.000

ИНДЕКС 26137

ეროვნული
ბიბლიოთეკა